

ს/ს „ოქსინო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – 3-4;
- სრული შემოსავლის ანგარიშგება –5-6;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. – 7-8;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება –8-9;
- სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10–25.

სს „ოქსინოს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	121375	12631	177932
მიმდინარე მარაგები	14591	14591	15665
სავაჭრო მოთხოვნები	78907	77848	58719
საინვესტიციო ქონება	10894953	10894953	10645953
სხვა საგადასახადო აქტივი	7620	6071	24559
სხვა არამატერიალური აქტივები	27898	30903	964
ძირითადი საშუალებები	493812	511472	243442
სულ აქტივები	11639156	11548469	11167234
ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1217	11104	10480
სულ ვალდებულებები	1217	11104	10480
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20800	20800	20800
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	6633787	6633787	6633787
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4983352	4882778	4502167
სულ საკუთარი კაპიტალი	11637939	11537365	11156754
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11639156	11548469	11167234

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ცინცაძე

დირექტორი

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	121375	12631	177932
მიმდინარე მარაგები	14591	14591	15665
სავაჭრო მოთხოვნები	78907	77848	58719
საინვესტიციო ქონება	10894953	10894953	10645953
სხვა საგადასახადო აქტივი	7620	6071	24559
სხვა არამატერიალური აქტივები	27898	30903	964
ძირითადი საშუალებები	493812	511472	243442
სულ აქტივები	11639156	11548469	11167234
ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1217	11104	10480
სულ ვალდებულებები	1217	11104	10480
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20800	20800	20800
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	6633787	6633787	6633787
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4983352	4882778	4502167
სულ საკუთარი კაპიტალი	11637939	11537365	11156754
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11639156	11548469	11167234

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

ნ. ქიქოძე

ნინო ცინცაძე

ლაშა სულაბე

სს „ოქსინოს“ მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ამონაგები	413703	395678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	-29313
პერსონალის ხარჯი	-72233	-73515
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-35302	-27494
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-161203	-73617
ცვეთა და ამორტიზაცია	-20660	-20660
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-23731	-39468
საოპერაციო მოგება	100574	131611
წმინდა შემოსულობაგადაფასებიდან	0	249000
მოგება/(ზარალი)	100574	380611
მოგება/(ზარალი)	100574	380611

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ცინცაძე

დირექტორი

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ამონაგები	413703	395678
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	-29313
პერსონალის ხარჯი	-72233	-73515
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-35302	-27494
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-161203	-73617
ცვეთა და ამორტიზაცია	-20660	-20660
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-23731	-39468
საოპერაციო მოგება	100574	131611
წმინდა შემოსულობაგადაფასებიდან	0	249000
მოგება/(ზარალი)	100574	380611
მოგება/(ზარალი)	100574	380611

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

ნ. სოჭი

ნინო ცინცაძე

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	209201	131229
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-89353	-296530
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-11104	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	108744	-165301
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12631	177932
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	121375	12631

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ცინცაძე

დირექტორი

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	209201	131229
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-89353	-296530
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-11104	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	108744	-165301
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12631	177932
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	121375	12631

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი



ნინო ცინცაძე

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2017 წაშთი	20 800	6 633 787	4 502 167	11 156 754
გადაფასების ნამეტის ზრდა/შემცირება				
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			380 611	
31.12.2018 წაშთი	20 800	6 633 787	4 882 778	11 537 365
გადაფასების ნამეტის ზრდა/(შემცირება)	-			
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	100 574	
31.12.2019 წაშთი	20 800	6 633 787	4 983 352	11 637 939

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ცინცაძე

დირექტორი

ლაშა სულაძე

სს „ოქსინოს“ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2017 წაშთი	20 800	6 633 787	4 502 167	11 156 754
გადაფასების ნამეტის ზრდა/შემცირება				
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			380 611	
31.12.2018 წაშთი	20 800	6 633 787	4 882 778	11 537 365
გადაფასების ნამეტის ზრდა/(შემცირება)	-			
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	100 574	
31.12.2019 წაშთი	20 800	6 633 787	4 983 352	11 637 939

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

ნ. სოჭი
ნინო ცინცაძე
ლაშა სულამე

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ოქსინო“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია 1995 წლის 14 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქუჩა რიჩარდ ჰოლბრუკის (ყოფილი ბაღდადის ქ.)#12. საზოგადოებას შვილობილი საწარმოები ან/და ფილიალები არ გააჩნია. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია 206028993. საზოგადოების აქციონერები არიან ფიზიკური პირები. სააქციო საზოგადოება „ოქსინო“-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 16.000 აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტით 20.800 ლარი). გამოშვებული ფასიანი ქაღალდების (აქცია) რაოდენობაა 8.000 ცალი. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 2 აშშ დოლარი. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ასევე შეადგენს 8.000 ცალს.

საზოგადოების გამოშვებული და მთლიანად განთავსებული აქციები მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების კლასს - „ჩვეულებრივი“. 31.12.2019წ.-ს მდგომარეობით მთლიანად განაწილებულ საზოგადოების 8.000 აქციაზე რეგისტრირებულია სულ 399 მფლობელი. საზოგადოება საკუთარი აქციების შეძენა-გამოსყიდვას და შესაბამისად გასხვისებასაც არ ახდენს არა მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ საერთოდ პირველადი განთავსების შემდგომ. 1 ცალი ფასიანი ქაღალდის (აქცია) წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 0,0125%-ით.

საზოგადოების ჩამოყალიბებისას სს „ოქსინო“-ს საქმიანობის საგანი მისი წესდების თანახმად განისაზღვრებოდა შემდეგი მიმართულებებით: სხვადასხვა სახის ტრიკოტაჟის ქსოვილების ქსოვა; მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტრიკოტაჟის ნაწარმის დამზადება, თეთრეულის შეკერვა; ყველა სახის კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონებს.

საზოგადოებას პროფილით არ უმუშავია 1995 წლის მარტის თვიდან და არ უწარმოებია პროდუქცია. 2001 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია მზა პროდუქციის ნაშთებიც, დღეისათვის ახორციელებს მხოლოდ მომსახურებას - არასაცხოვრებელი ფართების იჯარით გაცემას. შესაბამისად, უკანასკნელ წლებში საზოგადოების ძირითადი ოპერაციები უკავშირდება მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (ფართების) საოპერაციო იჯარით გაცემას.

სს „ოქსინო“-ს 2019 წლის 22 მაისის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის თანახმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟიდან ს/ს „ოქსინოს“ აქციების ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ.

საქართველოს საფონდო ბირჟის 2019 წლის 10 ივლისის #53 წერილობითი შეტყობინებით საზოგადოებას ეცნობა, რომ 2019 წლის 10 ივლისიდან მოიხსნა ს/ს „ოქსინოს“ აქციები ვაჭრობიდან – „საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“ დებულების 5.12.8 პუნქტის შესაბამისად.

2020 წლის 29 ივნისის ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". კანონის ცვლილებებით განახლდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. კერძოდ, განისაზღვრება მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ემიტენტების მნიშვნელოვანი წილის შეძენისა და ინსაიდერული ინფორმაციის წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს 90-იან წლებში პრივატიზებული საწარმოების დამატებითი მარეგულირებელი წნეხისგან გათავისუფლება წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია, რომ განახლებული რეგულაციის ამოქმედებისთანავე გაუქმდება არსებული წესით განსაზღვრული საანგარიშგებო მოთხოვნებისგან განთავისუფლების პირობები (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს ბრძანების №78/04 მე-9 მუხლი).

„ანგარიშვალდებული საწარმოს“ სტატუსი: ეხსებათ: პრივატიზაციის გეგმის საფუძველზე განთავსებული ან/და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტი (პრივატიზებული საწარმო), 2020 წლის 7 ოქტომბრიდან აღარ მიიჩნევა ანგარიშვალდებულ საწარმოდ, თუ:

- აღნიშნული ფასიანი ქაღალდები საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემიდან განახლებული კანონის ამოქმედებამდე მოიხსნა და
- 2018 წლის მდგომარეობით, ანგარიშვალდებული საწარმო წარმოადგენდა III/IV ზომით კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

აღნიშნული კანონის ცვლილებით, ს/ს „ოქსინო“ საშუალება მიეცა უფლება და მოიხსნა „ანგარიშვალდებული საწარმოს“ სტატუსი. და მასზედ აღარ გავრცელდება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით დაწესებული მოთხოვნები და შეზღუდვები.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად საზოგადოებრივი დაინტერესების პირია (შემდგომ – სდპ) იურიდიული პირი, რომელიც არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ვინაიდან ს/ს „ოქსინო“ არ წარმოადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს, იგი არ განიხილება საზოგადოებრივი დაინტერესების პირად (სდპ).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგება III ზომით კატეგორიის საწარმოსმოსათვის დადგენილი წესის შესაბამისად, რასაც ითვალისწინებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონი.

საზოგადოების საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საზოგადოების საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისა (ბასს 40) და ძირითადი საშუალებებისა, რომლისთვისაც კომპანია იყენებს რეალური ღირებულების მოდელს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და რომელიც ასახავს მისი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არის შემდეგი: ფასს 9 ფინანსური ინტრუმენტები; ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

ფასს 15-ის და ფასს 9-ის ეფექტს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გადასვლის თარიღისთვის, შესაბამისად კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების რაიმე სახის კორექტირება.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს:

საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ

მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება: კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (EFL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები EFL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ 7-ე შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.1 ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტი	121375	12631
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	79615	77848

მთლიანი ფინანსური აქტივები	200989.99	90479
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1217	11104
მიღებული სესხები	0	0
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	1 217	11 104

4.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მოსალოდნელი დაფარვის ვადა არის საანგარიშო პერიოდიდან 1 წელი.

4.3 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტები უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8666	3.0701

5. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აისახება გადაფასებული თანხით. რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. მან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის

გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ან გარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ყოველი ერთეულის ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების აღსარიცხავად საზოგადოება იყენებს რეალური ღირებულების მოდელს.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი მიეკუთვნება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგებას ან ზარალს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. რომელიც ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

ჩვეულებრივი იჯარა - საზოგადოება როგორც მეიჯარე

საზოგადოებას ჩვეულებრივი იჯარის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საინვესტიციო ქონების შესაბამის კლასში.

ჩვეულებრივი იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში და მიეკუთვნება საინვესტიციო ქონებიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯის სახით და შეიძლება კლასიფიცირებული იქნას:

იმ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ საექსპლუატაციო ხარჯებად (რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯების ჩათვლით), რომლიდანაც საიჯარო შემოსავალი იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში, ან/და;

იმ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ საექსპლუატაციო ხარჯებად (რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯების ჩათვლით), რომლიდანაც საიჯარო შემოსავალი არ იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს აქციონერებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

4 კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება

რეალურ ღირებულებებს. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

6. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობები	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7917000	2963788	12712	1453	10894953
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7917000	2963788	12712	1453	10894953

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია სამართლიანი ღირებულებების მე-2 დონის მიხედვით. რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის გამოყენებით, კერძო, გაყიდვების პირდაპირი შედარების მეთოდით, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფასების ანალიზს მსგავს აქტივებზე. საინვესტიციო ქონება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა 12-ში მდებარე მიწას და შენობას.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების, ან ხელმძღვანელობის მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება. საინვესტიციო ქონება 2019 წლის საანაგარიშო პერიოდში გადაფასებას არ დაექვემდებარა.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში „ამონაგები“ კლასიფიკაციის ქვეშ. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობები	სხვა	სულ
ძირითადი საშუალებები	250000	330532	14128	14717	609377
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	82795	9536	5589	97920
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250000	247737	4592	9128	511457
2019 წელს დარიცხული ცვეთა	0	14975	1151	1519	17645

დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	97770	10687	7108	115565
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250000	232762	3441	7609	493812

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია გადაფასებულ ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა და სასარგებლო მომსახურების ვადა მოცემულია ქვემოთ.

შენობები და ნაგებობები	5%	20 წელი
ელექტროგადამცემი ხაზები	8%	12.5 წელი
მანქანა დანადგარები	20%	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	20%	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	20%	5 წელი

8. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.18	დარიცხვა	წმინდა საბალანსო ღირებულება
ამორტიზაცია			
საბუღ. პროგ. `ორისი~	132	122	10
ნებართვა	33898	3005	30893
ჯამი	34030	3127	30903
ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.19	დარიცხვა	წმინდა საბალანსო ღირებულება
ამორტიზაცია			
საბუღ. პროგ. `ორისი~	10	10	-
ნებართვა	30903	3005	27898

ჯამი	30913	3015	27898
-------------	--------------	-------------	--------------

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით 10 წლიანი სამომხმარებლო პერიოდის გათვალისწინებით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

9. მარაგი

დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18
ჯართი	14 591	14 591
ჯამი	14 591	14591

მარაგის მიღება, როგორც წესი, აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, ინვენტარიზაციის საფუძველზე შემოსავალში აღებული „ჯართი“ კი საბაზრო ღირებულებით. გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18
მოთხოვნები მიწოდებიდან	79 615	77 848
საექვო მოთხოვნების კორექტირება	-708	0
ჯამი	78 907	77 848

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

11. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18
ფული საბანკო ანგარიშზე-ლარი	107 123	7 884
ფული სალაროში	14 252	4 747
ჯამი	121 375	12 631

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18
ვალდებულება კომუნალური მომსახურებიდან	1 217	11 104
ჯამი	10 480	11 430

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

დასახელება	კავშირი კომპანიასთან	მიწოდების ოპერაციის სახე	თანხა	ნაშთი 31/12/2019
შპს „ქინძმარაულის მარანი თრეიდიנג“	აკონტროლებს დირექტორი	სიჯარო მომსახურება	1 158	–
შპს "ტრანსკომი"	აკონტროლებს დირექტორის მოადგილე	სიჯარო მომსახურება	8 945	152.19
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორი	ხელფასი	24 902	-
ჯამი			35 005	152.19

14. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ფართის გაქირავება აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია, შესაბამისად, კომპანია საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ საიჯარო მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

15. ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად კომპანიას არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა,

რეალური ალტერნატივა. იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების); ბ) კანონმდებლობის; ან გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად. კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის საქმიანობის შედეგად, როდესაც: ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით კომპანიამ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და ბ) შედეგად კომპანიამ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

16. იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

17. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. 2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოება არ მონაწილეობდა სასამართლო ან/და სხვა ტიპის დავებში.

დაგირაფებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქტივები დაგირაფებული ან/და შეზღუდული არ ყოფილა.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მხოლოდ კომუნალური მომსახურების მომწოდებლებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები. მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ აღილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს